



ქართული უნივერსიტეტის IX პირად-გუნდური ოლიმპიადა  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის თასის მოსაპოვებლად  
**ისტორია - IX კლასი**

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი \_\_\_\_\_  
სკოლა, კლასი \_\_\_\_\_  
თანაგუნდელის გვარი, სახელი \_\_\_\_\_  
მასწავლებლის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

**I დავალება - ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი**

ინსტრუქცია

ყოველ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. უნდა შემოხაზოთ სწორი პასუხი. თითოეული დავალება (1) ერთი ქულით ფასდება.

- (1) 1. რომელ მდინარესთან დაარსდა ქალაქი რომი?  
ა. სენა                      ბ. პო                      გ. ტიბრი                      დ. ნილოსი
- (1) 2. რომელი ქალაქი გამოაცხადა ალექსანდრე მაკედონელმა თავისი იმპერიის დედაქალაქად?  
ა. მემფისი                      ბ. ბაბილონი                      გ. ათენი                      დ. ნინევია
- (1) 3. როდის დაეცა დასავლეთ რომის იმპერია?  
ა. 475 წელს                      ბ. 476 წელს                      გ. 477 წელს                      დ. 478 წელს
- (1) 4. რას ნიშნავს რეკონკისტა?  
ა. არაბების მიერ ესპანეთის დაპყრობას                      ბ. მუსლიმთა მიერ დაკავებული მიწების ბრძოლით უკან დაბრუნებას  
გ. ესპანელების მიერ არაბეთის დაპყრობას                      დ. ესპანელებისა და არაბების საერთო კულტურის ჩამოყალიბებას
- (1) 5. ვინ იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე?  
ა. ნოე ჟორდანიას                      ბ. ნოე რამიშვილი                      გ. კარლო ჩხეიძე                      დ. ევგენი გეგეჭკორი
- (1) 6. რომელ წელს აღიარა საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტო და დე იურე?  
ა. 1918 წ.                      ბ. 1919 წ.                      გ. 1920 წ.                      დ. 1921 წ.
- (1) 7. რომელი ზავით დამთავრდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი?  
ა. ქუჩუკ-კაინარჯის                      ბ. იასის                      გ. ზოჰაბის                      დ. ადრიანოპოლის

(1) 8. რომელი სახელმწიფოს მეფე იყო ტიგლათფილესერ I?

- ა. ურარტუს      ბ. ხეთების      გ. ასურეთის      დ. მითანის

(1) 9. ვის ეკუთვნის სიტყვები: „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“

- ა. იოსებ სტალინს      ბ. სერგო ორჯონიკიძეს      გ. ფილიპე მახარაძეს      დ. ბუღუ მდივანს

(1) 10. ქართველთა მხრიდან ვინ მოაწერეს ხელი „გეორგიევსკის ტრაქტატს“?

- ა. ალექსანდრე ბატონიშვილმა და ანტონ I-მა  
ბ. გარსევან ჭავჭავაძემ და იოანე მუხრანბატონმა  
გ. სოლომონ ლიონიძემ და გარსევან ჭავჭავაძემ  
დ. სოლომონ ლიონიძემ და გაიოზ არქიმანდრიტმა

## II დავალება - ქრონოლოგიის განსაზღვრა

### ინსტრუქცია

დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენები შესაბამისი თანმიმდევრობით (უძველესიდან უახლესისაკენ). პასუხები ჩაწერეთ მოცემულ უჯრებში. იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის შესაბამისი ციფრი. თითოეული დავალება სამი (3) ქულით ფასდება.

(3) 11. დაალაგეთ პერიოდები ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ

1. მეზოლითი      2. ენეოლითი      3. პალეოლითი      4. ნეოლითი

--	--	--	--

(3) 12. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენები

1. მუჰამედის გარდაცვალება      2. „დაცვის სიგელის“ დადება ქართლთან  
3. ჯარაჰის ლაშქრობა საქართველოში      4. აზულ კასიმის ლაშქრობა საქართველოში

--	--	--	--

(3) 13. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ ქვემოთ ჩამოთვლილი ბრძოლები

1. გავგამელას ბრძოლა      2. აქციუმის საზღვაო ბრძოლა  
3. სალამინის ბრძოლა      4. პლატეას ბრძოლა

--	--	--	--

(3) 14. დალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული ზავები

1. ბუქარესტის ზავი
2. ადრიანოპოლის
3. ქუჩუკ-კაინარჯის ზავი
4. იასის ზავი

--	--	--	--

### III დავალება - შესაბამისობის პოვნა

#### *ინსტრუქცია*

*ქვემოთ მოცემულ დავალებაში იპოვეთ შესაბამისობები და ისინი ისრებით დააკავშირეთ. დავალება მაქსიმუმ ოთხი (4) ქულით ფასდება.*

(4) 15. იპოვეთ შესაბამისობა

- |  |            |
|--|------------|
| 1. ვახტანგ VI დანიშვნა ქართლის მმართველად (ჯანიშინად)    | ა) 1709 წ. |
| 2. პირველი სტამბის დაარსება თბილისში                     | ბ) 1712 წ. |
| 3. პირველი ბეჭდური „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა             | გ) 1710 წ. |
| 4. ქართლის მეფის ქაიხოსროს დალუპვა ავღანელებთან ბრძოლაში | დ) 1813 წ. |
|  | ე) 1711 წ. |
|  | ვ) 1703 წ. |

### IV დავალება - შეცდომების აღმოჩენა და გასწორება

#### *ინსტრუქცია*

*ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. იპოვეთ დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენს მიერ ნაპოვნი შეცდომა (1 ქულა), ისე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულა). ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა. შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა. დავალება მაქსიმუმ (14) ქულით ფასდება.*

**(14) 16. მეორე მსოფლიო ომი**

1937 წლის 1 სექტემბერს გერმანიის ჩეხეთზე თავდასხმით მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. 1940 წელს გერმანიამ შეტევა წამოიწყო საფრანგეთის წინააღმდეგ და მალე პარიზიც დაიკავა. 1942 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. 1941 წლის შემოდგომაზე გერმანული სამხედრო შენაერთები უკვე მოსკოვის მისადგომებთან იყვნენ, თუმცა ქალაქის აღება ვერ შეძლეს. წლის ბოლოს კი, 7 დეკემბერს გერმანიის ავიაციამ აშშ-ს სამხედრო ძალების ბაზა, პერლ-ჰარბორი დაბომბა, რის შედეგადაც მსოფლიო ომში აშშ-ც ჩაება. საომარი მოქმედებები სამხრეთ აფრიკაშიც მიმდინარეობდა. აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიამ მძიმე მარცხი იწვნია ჯერ სტალინგრადთან, შემდეგ კი კურსკთან. 1944 წელს საფრანგეთმა და აშშ-მ „მეორე ფრონტი“ გახსნეს, რამაც გერმანიის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. 1946 წლის მაისში გერმანიამ ხელი მოაწერა კაპიტულაციას და ევროპაში ომი დამთავრდა. თუმცა სამხედრო მოქმედებები გრძელდებოდა აზიაში. აგვისტოში აშშ-მ ხიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ბომბები ჩამოაგდო. 2 სექტემბერს ჩინეთმა ხელი მოაწერა კაპიტულაციას და ამით მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.

	არის	უნდა იყოს
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		